საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის 2023 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მე ჯემალ ისაკაძე, როგორც საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი და ამავე დროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალდებული ვარ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ ჩავაბარო ამომრჩეველს. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება მიღებული ნდობის შენარჩუნებაა, ჩემი საქმიანობის ამოცანა პოლიტიკური პროცესების მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება. მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიალურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ძირითადი მიმართულებებია, სწორედ ამ პრინციპებს დაცვითა და საკრებულოს განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებით იწყება თითოეული ჩემი სამუშაო დღე.

2023 წლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 22, საკრებულოს ბიუროს 20, იურიდიული კომისიის 17, ეკონომიკის და ქონების საკითხთა კომისიის 11 და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის საკონსულტაციო საბჭოს 8 სხდომაზე.

როგორც ორი ადმინისტრაციული ერთეულის, ახალთერჯოლის და სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი, სოფლის წარმომადგენლებთან ერთად ვგეგმავთ და ვახორციელებთ ინფრასტრუქტურულ სოციალურ, სპორტულ თუ სხვა სახის პროექტებს.

2023 წელს ე.წ სოფლის პროგრამის ფარგლებში საერთო ჯამში სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულს გამოეყო 36000 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მოეწყო:

1. 15 ერთეული გარე განათების სისტემა.

2. საუბნო გზებზე 2 კმ ბუნებრივი სანიაღვრე.

3. მგზავრთა მოსაცდელი სოფლის ცენტრში.

4. ხუთ ლოკაციაზე მოეწყო 30 მ. ბეტონის სანიაღვრე .

5. საბავშვო ბაღის მესერი.

6. 100 კუბი მთის ქანის შეტანა საუბნო გზაზე.

2023 წელს სოციალური პროგრამებიდან სოფ. სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 141-მა მოქალაქემ ისარგებლა: ერთჯერადი ფინანსური დახმარება 61, სამედიცინო თანადაფინანსება 38, სურსათით დახმარება 42.

ასევე სოფ.სიქთარვაში აშენდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც მერიის სოციალური პროგრამის მიხედვით განკუთვნილია იმ სოციალური კატეგორიისათვის რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სიქთარვისა

და ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულებში სულ სამი საცხოვრებელი სახლია აშენებული.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში სოფ.სიქთარვის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის გამოყენებული იქნა 550 კუბი მთის ქანი.

რაც შეეხება სოფ. ახალთერჯოლას, ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს სასმელი წყლის მშენებლობის სამუშაოები, რომელიც 2022 წლის იანვრიდან დაიწყო, პროექტის ღირებულება თავდაპირველად შეადგენდა 2,138,827, რომელმაც პროექტის კორექტირებისას ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 62000 ლარი, რომელიც დასრულდება 2023 წლის ნოემბერში, რაც იმას ნიშნავს, რომ სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

ასევე 2023 წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულს გამოეყო 30,000 ლარი:

1. გარე განათების სისტემა 18 ერთეული.

2. ბეტონის სანიაღვრე 108 მეტრი.

3. ე.წ სანიაღვრე ცხაური 13 მეტრი.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში სოფელ ახალთერჯოლაში საუბნო გზების მოსაწყობად გამოყენებული იქნა 480 კუბი მთის ქანი.

2023 წელს სოციალური პროგრამებიდან ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 208 მოქალაქემ ისარგებლა, აქედან ერთჯერადი ფინანსური დახმარება 92, სამედიცინო თანადაფინანსება 60, სურსათით დახმარება 56.

მე წარმოვადგენ საკრებულოში უმრავლესობას ჩემს კოლეგებთან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. უშუალოდ ვესაუბრები მოსახლეობას სოფლების მიხედვით, სწორედ ასეთი მიდგომებით, დამოკიდებულებით ვცდილობთ გავხადოთ ყველა პროცესი გამჭვირვალე, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. თვითმმართველობა არის ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი ხელისუფლება, რაც ვალდებულებებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, მოსახლეობასთან სისტემური შეხვედრები, მაჟორიტარებთან ერთად ყველა იმ პრობლემების იდენტიფიცირებას უწყობს ხელს.

რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი . სისტემატურად მქონდა და მაქვს ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან, საკრებულოს თავმჯდომარის, მერიის

შესაბამისი სამსახურების, მაჟორიტარების ერთობლივი მონაწილეობით. საკრებულოს წევრებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. მთავარი ფინანსური დოკუმენტის-ბიუჯეტის ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სამართლის იურიდიული პირების გაწეული მუშაობის ანგარიშებს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ გეგმებს.

მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი. მჯერა 2023 წლის ბიუჯეტი უკეთესი იქნება, ახალი ინიციატივებით ურთიერთ თანამშრომლობაზე აგებული საქმიანობით. ეტაპობრივად ყველა სოფელში მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას, ხელს შევუწყობთ განათლებას, გავაუმჯობესებთ სოციალურ გარემოს. ჩვენი მთავრობა ორიენტირებულია ხალხზე და არ გაურბის პასუხისმგებლობას, დარწმუნებული ვარ შედეგი იქნება თვალსაჩინო განხორციელებული პროექტებით.